მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი 27 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ მიქანაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „აუდიტი და კონტროლი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **გია ტუხაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებლი“, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ თანახმად მხარეებს შორის 2017 წლის 6 თებერვალს გაფორმებული **N20** „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების შესაბამისად, „მიმწოდებელმა“ უზრუნველყო აუდიტორული მომსახურებების გაწევა (**CPV 79200000; 79212000**), კერძოდ: სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ 2016 წლის ანგარიშგების (ბალანსის) ფინანსური აუდიტი - შემოწმება („სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36^4 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით);

სულ გაწეული მომსახურების საერთო ღირებულებამ შეადგინა **3000 (სამიათასი) ლარი,** დღგ-ს ჩათვლით.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია, რასაც ვადასტურებთ:

შემსყიდველი:
სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“,
საიდ.კოდი: 204 493 262
მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი

ავთანდილ მიქანაძე
დირექტორი ----------

მიმწოდებელი:

შპს „აუდიტი და კონტროლი“
საიდ.კოდი: 401952856
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, IV კვ. კორპ. 1ა, ბ N5

გია ტუხაშვილი
დირექტორი ----------

კონტროლი - ინსპექტირება

2017 წლის 6 თებერვალს გაფორმებული N20 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად განვახორციელე მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების (2016 წლის ანგარიშგების (ბალანსის) ფინანსური აუდიტი) კონტროლი - ინსპექტირება.
მიმწოდებლის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია.

მზია მეტრეველი ----------
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

შპს „აუდიტი და კონტროლი“

AUDIT & CONTROL LTD

№ 23

27 დეკემბერი 2017 წ.

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

სასწავლო ცენტრის“ დირექტორს

ბატონ ავთანდილ მიქანაძეს

ბატონო ავთანდილ,

წარმოგიდგენთ, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს“ და შპს „აუდიტი და კონტროლს“ შორის 2017 წლის 6 თებერვალს დადებული №20 ხელშეკრულების თანახმად, სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ 2016 წლის პერიოდის ფინანსური აუდიტის შედეგების შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას და ანგარიშს.

დანართები:

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა №23/20/1 – 3 ფურცელი;
2. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში №23/20/2 – 33 ფურცელი (დანართების ჩათვლით).

პატივისცემით,

შპს „აუდიტი და კონტროლის“ დირექტორი: /გ. ტუხაშვილი/

27 12. 2017

151611

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა №23/20/1

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“-ს (ს/ნ 204493262) 2016 წლის პერიოდის ფინანსური აუდიტის შედეგების შესახებ

თბილისი

27 თებერვალი 2017 წელი

შპს „აუდიტი და კონტროლმა“ ჩაატარა სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“-ს 2016 წლის პერიოდის ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

შპს „აუდიტი და კონტროლი“ პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პრფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი

სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

აუდიტორულ დასკვნას თან ერთვის დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"-ს 2016 წლის პერიოდის ფინანსური აუდიტის შედეგების შესახებ, რაც ამ დასკვნის განუყოფელი ნაწილია.

შპს „აუდიტი და კონტროლის" დირექტორი: /გ. ტუხაშვილი/

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

გადაგზავნილი

1	ეა-13 6064098

3	თებერვალი	2017

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	27	თებერვალი	2017

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	4	0	1	9	5	2	8	5	6		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს აუდიტი და კონტროლი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	4	4	9	3	2	6	2		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ „სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის" 2016 წლის ანგარიშგების (ბალანსის) ფინანსური აუდიტი - შემოწმება.	მომსახურება		3000.0000	457.6300	0.0000
		სულ	3000	457.63	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

სახელმწიფო ბიუჯეტი

საგადახდო მოთხოვნა #00248

(დამტკიცებული ხაზინაში)

სახაზინო კოდი	27 03	დასახელება	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება		
ვალდებულების #	0095	მოთხოვნის საფუძველი	ანგარიშფაქტურა; ეა-13 6064098; 27/02/2017		0
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	2.2.10.8	თანხა ლარებში	3,000.00	თანხა სიტყვით	სამი ათასი ლარი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი			204493262		
დასახელება	სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი			401952856		
დასახელება	შპს შპს აუდიტი და კონტროლი				
მიმღების ბანკის კოდი			BAGAGE22		
დასახელება	ქ.თბილისი,სს "საქართველოს ბანკი" (საანგ. ცენტრი)				
ანგარიშის #	GE57BG0000000892577100			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	
გადახდის დანიშნულება	აუდიტორიული მომსახურების ხარჯი (მიმდინარე წლის ხარჯი)				

მოთხოვნის დამატება:	ქეთევან ფერაძე	27/02/2017 17:51
მოთხოვნის დამოწმება:	მზია მეტრეველი	27/02/2017 17:51
მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში front-ოფისიდან:	ავთანდილ მიქანაძე	27/02/2017 17:51
მოთხოვნის მიღება:	ლალი ჩუბინიძე	27/02/2017 17:56
გადავადებული მოთხოვნების აღდგენა:	სოფიო ნემსაძე	28/02/2017 09:18
ბანკში გაიგზავნა:		28/02/2017 09:57

28/02/2017

ტრანზაქცია
განხორციელებულია